გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

17 ივლისი 2024

N 2-646

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ჯი-ეს ჯგუფი“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის 5 დეკემბრის N2-911 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2024 წლის 15 ივლისს სამინისტროს მომართა შპს „ჯი-ეს ჯგუფი“-მ (ს/კ 404887280) და შპს „ალალი 2008“-მ (ს/კ 245619790) და ითხოვეს შპს „ჯი-ეს ჯგუფი“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვით გაცემული R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) 90 კგ-ის ოდენობით იმპორტის ნებართვის შპს „ალალი 2008“-სთვის გადაცემა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, შპს „ჯი-ეს ჯგუფი“-სა და შპს „ალალი 2008“-ის 2024 წლის 15 ივლისის N20564 ერთობლივი განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ჯი-ეს ჯგუფი“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის 5 დეკემბრის N2-911 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს შპს „ჯი-ეს ჯგუფი“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 404887280) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა (N000062) შემდეგი ნივთიერებების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობით:

- R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 910 კგ;

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ჯი-ეს ჯგუფი“-ს;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „შპს „ჯი-ეს ჯგუფი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი